ოქტომბერი, 2016

NEWSLETTER

- მემორანდუმი საქართველოს ფისტის ასოციაციასთან
- ILO-ს მიერ ორგანიზებული ტრენინგი შრომითი ურთიერთობებს შესახებ
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ფინანსურ ოფისთან
- პროფესიული განათლებისა და სწავლება - პროექტის პრეზენტაცია
- არა-ფორმალური საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავება - პროექტის პრეზენტაცია
- ტრენინგი - დიალოგი სამუშაო ადგილზე
- ტრენინგი შრომით მედიაციაზე
- Doing Business - რეიტინგის შეფასება
- რუსულ-ქართული ბიზნეს ფორუმი

ბიზნეს გაერთიანება GEA
მის.: 0159, თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. #8 ტელ.: 2 14 73 73
მობ.: +995 579 555 551 ელ-ფოსტა: employer@employer.ge

მემორანდუმი საქართველოს ფისტის ასოციაციასთან

12 ოქტომბერს ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ“ და „საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციამ“ გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი „საქართველოს ფისტის ასოციაციასთან".

მემორანდუმის მიზანია აღნიშნულ სამ ხელმომწერ მხარეს შორის სისტემატური თანამშრომლობის ჩამოყალიბება, ინფორმაციის გაცვლა და კოორდინირებული მუშაობა ბიზნეს ინტერესების გათვალისწინებით.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ღონისძიების მონაწილებს წარუდგინეს პრეზენტაცია საქართველოში ფისტის წარმოების პოტენციალის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს სექტორულ ასოციაციებთან დარგში არსებული პრობლემური საკითხების ეფექტურად გადაწყვეტის მიზნით.

ILO-ს მიერ ორგანიზებული ტრენინგი შრომითი ურთიერთობებს შესახებ

11-13 ოქტომბერს ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ (GEA) თანამშრომლებისთვის “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ“ (ILO) მოაწყო ტრენინგები შრომის კანონმდებლობის, ინდუსტრიული ურთიერთობების და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა შრომის კანონმდებლობის, ინდუსტრიული ურთიერთობების და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მიმართულებით ასოციაციის წევრებისათვის ახალი სერვისების შეთავაზება და არსებულის - გაუმჯობესება. აღნიშნული სერვისების გაუმჯობესება და ბიზნეს სექტორისთვის ეფექტურად მიწოდება ხელს შეუწყობს შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესებას საკანონმდებლო და შიდა ორგანიზაციულ დონეებზე.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია წევრ და პარტნიორ კომპანიებს სთავაზობს ადვოკატირების, ლობირების და კონსულტაციების საშუალებით მოაგვარონ კომპანიებში არსებული შრომით ურთიერთობებში არსებული პრობლემური საკითხები და გააუმჯობესონ არსებული მდგომარეობა.

ამდენად, „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (ILO) მიერ ჩატარებული ტრენინგი პოზიტიურად აისახება დამსაქმებელთა ასოციაციის საქმიანობის ისეთ აქტუალურ მიმართულებაზე, როგორიცაა შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება.

„შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია“ (ILO) უკვე მრავალი წელია წარმოადგენს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის (GEA) პარტნიორს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ფინანსურ ოფისთან

18 ოქტომბერს ბიზნეს გაერთიანება “საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასა“ და აუდიტორულ და საბუღალტრო კომპანია "ფინანსურ ოფისს" შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმი გულისხმობს მხარეებს შორის პოტენციურ თანამშრომლობას ინფორმაციის გაცვლის და გამოცდილების გაზიარების გზით, რათა მხარეებმა გააძლიერონ სერვისები და შეიმუშაონ სპეციალური შეთავაზებები ერთმანეთის კლიენტებისათვის. გარდა ამისა, მხარეები თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარებენ ერთობლოვ დისკუსიებს, საჯარო ლექციებს, ტრენინგებს, კონფერენციებს და სხვ.

ბიზნეს გაერთიანება GEA აქტიურად თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

პროფესიული განათლებისა და სწავლება - პროექტის პრეზენტაცია

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერით ახორციელებს „პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტს“, რომლის მიზანია შრომის ბაზარზე ადეკვატური ადამინური რესურსის კვალიფიკაციის გაძლიერება.

აღნიშნული მრავალწლიანი პროექტის ფარგლებში შეიქმნა „კადრებზე მოთხოვნის სისტემური საინფორმაციო ბაზა" სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისა და საგანამანთლებლო დაწესებულებებში პროფესიების შესწავლის მოდულების შემუშავებით.

ამ აქტივობების შედეგად ახლო მომავალში ასოციაციის ფარგლებში იწარმოებს საკადრო პოლიტიკის ელექტრონული კვლევის სისტემატური შესწავლა და მისი ანალიზის შედეგად მრავალმხრივი ჩართულობით შეიქმნება შრომის ბაზრის განვითარების ხელშემწყობი სერვისები და მათი აღსრულების მექანიზმები.

20 ოქტომბერს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა პროექტის პირველადი შედეგების განხილვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პროექტის გერმანელი ექსპერტები, ბიზნეს სექტორი, გერმანიის საელჩოს და განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.

არა-ფორმალური საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავება - პროექტის პრეზენტაცია

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია" ათასწლეულის გამოწვევის ფონდის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ მცირე საგრანტო პროექტის ფარგლებში გამართა პროექტის შედეგების პრეზენტაციას - არა-ფორმალური საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმატში.

პროექტი დაფინანსებულია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ.

პრეზენტაციის მონაწილეებს მიესალმნენ ქეთევან ნატრიაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, სონია შარიგიანი, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორის მოადგილე, დევიდ ჰენდლი, „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ პროექტის ხელმძღვანელი და ელგუჯა მელაძე, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი.

GEORGIAN EMPLOYERS ASSOC

პროექტის ძირითადი მიზანი იყო შრომის ბაზრის მთავარი გამოწვევის - პროფესიული და ტექნიკური მომზადების დონის გაუმჯობესებისთვის, საუკეთესო პრაქტიკის პრეცედენტის შექმნა.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის" მიერ განხორცილებული აქტივობების შედეგად, რეგიონალური და თბილისის საწარმოების ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ახალგაზრდები დასაქმდნენ „სამუშაო ადგილზე სწავლების" პრინციპით, ასოციაციის წევრ კომპანიებში.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საუკეთესო მაგალითის გაზიარება ასოციაციის წევრ კომპანიებში, რათა გაიზარდოს ბიზნეს სექტორის ჩართულობა მსგავს აქტივობებში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პროექტში ჩართული კომპანიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანებელი, პროექტების ბენეფიციარები,საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელები.

ტრენინგი - დიალოგი სამუშაო ადგილზე

21-23 ოქტომბერს „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში“ „შრომის სართაშორისო ორგანიაციის“ (ILO) მზარდაჭერით გაიმართა ტრენინგი თემაზე - დიალოგი სამუშაო ადგილზე. ტრენინგს ესწრებოდნენ დამსაქმებლების, დასაქმებულების და პროფკავშირების წარმომადგენლები.

ტრენინგს უძღვებოდნენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრენერები: **როჯერ ლეკური** - ექსპერტი შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დიალოგის საკიტხებში, შრომის ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენელი.

კლოდ რიუ - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტანტი, ასოცირებული მკვლევარი გლობალიზაციისა და შრომის საკითხების უნივერსიტეტთაშორისი კვლევის ცენტრში (კვლევის სფეროები - კოლექტიური მოლაპარაკებები, შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება, სოციალური დაცვის პროგრამები და ტყის მრეწველობა).

ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგი საკითხების შესახებ:

- **რა ხდის ორგანიზაციას უფრო ეფექტურს და სამართლიანს?**
- **პრაქტიკული მიდგომები და საშუალებები ორგანიზაციაში სამართლიანობის გაუმჯობესების მიზნით;**
- **სამუშაო ადგილზე დიალოგის კონცეფცია;**
- **შრომითი დავების გადაწყვეტა;**

კურსი დატვირთული იყო პრაქტიკული სამუშაოებით, სავარჯიშოებითა და ქეისების განხილვით, რაც საშუალებას მისცემს მონაწილეებს სამუშაო ადგილზე ეფექტურად წარმართონ დიალოგი შრომითი დავების პროცესში და გააუმჯობესონ თანამშომლების სამუშაოთი კმაყოფილების დონე.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ „შრომის საერთოაშორისო ორგანიზაციის“ (ILO) მხარდაჭერით სისტემატურად სთავაზობს წევრ და პარტნიორ კომპანიებს შრომის პირობების გაუმჯობესებაზე მიმართულ ტრენინგებს.

ტრენინგი შრომით მედიაციაზე

24-26 ოქტომბერს „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებითა“ და "შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის" (ILO) მხარდაჭერით გაიმართა ტრენინგი შრომით მედიაციაზე.

ტრენინგს უძღვებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრენერი როჯერ ლეკური - ექსპერტი შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დიალოგის საკითხებში, შრომის ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენელი.

ტრენინგი გახსნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსმა ელზა ჯგერენაიამ.

ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგი საკითხების შესახებ:

- **შრომითი დავების გადაწყვეტა საქართველოში;**
- **მედიაციის საფუძვლები;**
- **მედიატორის ინსტრუმენტები (საქმის გახსნა, შეხვედრების ფორმატი, დროის მენეჯმნეტი, ეფექტური შინაარსი, ფასილიტაცია და კომუნიკაცია)**
- **მოქმედების პრინციპები**
- **სიტუაციის ნიმუშები**

ტრენინგზე მოწვეული იყვნენ პრაქტიკოსი მედიატორები ჯანდაცვის სამინისტროდან, რომლებმაც მონაწილეებს გაუზარეს საკუთარი გამოცდილება.

ტრენინგს ესწრებოდნენ ბიზნესის სექტორისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე, მედიციით დაინტერესებული სხვა პირები.

Doing Business - რეიტინგის შეფასება

28 ოქტომბერს ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ“ (GEA), საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციამ, მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციამ, საქართველოს ბანკების ასოციაციამ და ბიზნეს ექსპერტებმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელთან ერთად Doing Business-ის რეიტინგში საქართველოს პოზიციები შეაფასეს.

შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი ძირითადი საკითხები:

• Doing Business-ის რეიტინგში საქართველოს პოზიციების მიმოხილვა - გამოითქვა როგორც კრიტიკული მოსაზრებები კვლევის მეთოდოლოგიასა და შედეგების შეფასების მიმართ, ასევე ისაუბრეს იმ პოზიტიური მხარეების შესახებ, რაც ახასათებს მსგავსი რეიტინგის გამოქვეყნებას;

• როგორ იმოქმედებს აღნიშნული რეიტინგი საქართველოს მიმართ ინვესტორების ნდობაზე;

• ძირითადი მოლოდინები და პროგნოზები.

ბიზნეს გაერთიანება GEA-ს ორგანიზებით შესაძლოა ახლო მომავალში გაიმართოს მასშტაბური ღონისძიება Doing Business-ის რეიტინგის შეფასების მიზნით.

რუსულ-ქართული ბიზნეს ფორუმი

31 ოქტომბერს „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით გაიმართა საქართველო-რუსეთის ბიზნეს ფორუმი, რომელიც მიზნად ისახავდა რუსი ბინზესმენების დაინტერესებას საქართველში ინვესტირებით.

ბიზნეს ფორუმზე საქართველოს მხრიდან გაკეთდა პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ. რუსეთის ბიზნეს დელეგაცია საქართველოს ბიზნეს გარემოს შესაფასებლად გაეცნო სტატისტიკურ მონაცემებს და უახლესი კვლევის შედეგებს.

ბიზნეს ფორუმზე კომპანიებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები საკუთარი პროდუქტის და სერვისების შესახებ. ასევე, გაიმართა B2B შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებს.

ბიზნეს ფორუმს ესწრებოდა 80-მდე ქართული და რუსული კომპანია.

ბიზნეს გაერთიანება GEA სისტემატურად აწყობს ბიზნეს ფორუმებს ქართველი და უცხოელი ბიზნესმენებისათვის ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით.

ბიზნეს გაერთიანება GEA
მის.: 0159, ა. ბელიაშვილის ქ. #8, თბილისი
ტელ.: +995 32 2 14 73 73 მობ.: +995 579 555 551
ელ.ფოსტა: employer@employer.ge
www.employer.ge
www.facebook.com/GEA